

ევრობანკის პროექტის მოკლე ანოტაცია

პროექტის სახელწოდება:

ბათუმის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროექტი

ქვეყანა:

საქართველო

პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი:

37547

დარგი:

მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა

სახელმწიფო თუ კერძო სექტორი:

კერძო

დირექტორთა საბჭოზე განხილვის თარიღი:

2007 წლის 10 ივლისი

სტატუსი:

გაიარა კონცეპტუალური განხილვა, მალე შედგება ფინანსური განხილვა.

პროექტის მოკლე დახასიათების დოკუმენტის გამოქვეყნების თარიღი:

2007 წლის 19 აპრილი

პროექტის მოკლე დახასიათების დოკუმენტის განახლების თარიღი:

--

პროექტის მოკლე არწერა და მიზნები:

შემოთავაზებული პროექტი გულისხმობს 100-მდე ავტობუსის, აპარატურის, სათადარიგო ნაწილების შესყიდვას, დეპოს რეაბილიტაციას და ტექნიკურ თანამშრომლობას ბათუმში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დარგის რესტრუქტურისაციისთვის.

გარდაქმნის ეფექტი:

კომერციული ზაცია

შემოთავაზებული პროექტი დაეხმარება ქალაქს და კომპანიას საზოგადოებრივი მომსახურების კონტრაქტების შედგენასა და დანერგვაში, რათა მიღწეული იქნეს შემდეგი მიზნები:

(ა) სტანდარტებისა და გამჭვირვალე სტრუქტურის დანერგვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველსაყოფად,

(ბ) საზოგადოებრივი მომსახურების გამჭვირვალე გადახდების მექანიზმის დანერგვა და კომპანიისადმი ინვესტიციების დაგეგმვასა და დაფინანსებაზე პასუხისმგებლობის მინიჭება.

პროექტი გულისხმობს საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფას კომპანიისადმი, რათა მან კომერციულ საფუძველზე იმუშაოს და სრულად მოახდინოს დანახარჯების ამოღება ექსპლუატაციიდან – მგზავრობის საფასურისა და სხვა საკუთარი შემოსავლებიდან. ეს კომპანიას დაეხმარება ბიზნეს გეგმის შედგენაშიც, რათა:

I. გაიზარდოს შემოსავლები და შემცირდეს საექსპლუატაციო ხარჯები,

- II. მდგრადი საინვესტიციო პროგრამის შემუშავება გახდეს შესაძლებელი,
- III. ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სისტემის დანერგვა,
- IV. მართვის უნარჩვევების გაუმჯობესება.

კერძო სექტორის მონაწილეობა

პროექტის ფარგლებში მოხდება კერძო სატრანსპორტო სექტორის განვითარების მხარდაჭერა საზოგადოებრივი და კერძო სექტორების ფუნქციონირებისთვის როლის გარკვევის საშუალებით, ქალაქისთვის გრძელვადიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიზნებისა და ნათელი მარეგულირებელი მექანიზმების დასახვით.

ბაზრის სტრუქტურა

საზოგადოებრივი მომსახურების კონტრაქტირების პრინციპების დანერგვით, რაც საქართველოს ურბანული ტრანსპორტის სექტორის რეალობაში მეორედ მოხდება, კომპერციულ საფუძველზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირების ნათელი საფუძველი ჩამოყალიბდება და ქალაქსა და ურბანულ სატრანსპორტო კომპანიას შორის ურთიერთობებში ანგარიშგების როლი თავის ადგილს დაიმკვიდრებს.

სტანდარტები

შესყიდვების სტანდარტები გაუმჯობესდება ევრობანკის შესყიდვების პოლიტიკისა და წესების გამოყენების შედეგად როგორც ახალი, ასევე ნახმარი ავტობუსების შესყიდვის შემთხვევაში. საზოგადოებრივი მომსახურების კონტრაქტირება გააუმჯობესებს კორპორაციულ მმართველობას, რადგან მასში ნათლად იქნეს განსაზღვრული და განაწილებული პასუხისმგებლობები მომსახურებათა უზრუნველყოფაზე, ფინანსებზე, უსაფრთხოებაზე, ტარიფების განსაზღვრაზე, მგზავრთა კონტროლზე, ტარიფების კონტროლზე, მარკეტინგზე, საბილეთო სისტემაზე, მგზავრობის საფასურის გადახდისგან თავის არიდებასა და მომხმარებელთა ჩივილებზე რეაგირებაზე.

საზოგადოებრივი და დაბალი ხარისხის მქონე მინიავტობუსების მომსახურების რეორგანიზაციის გზით მთლიანობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფა გაუმჯობესდება და მომხმარებლებს უკეთეს მომსახურებას შესთავაზებს. საზოგადოებრივი მომსახურების კონტრაქტირება უზრუნველყოფს აუცილებელი კომერციული ზეწოლის გაჩენას კლიენტის რეაგირებისთვის.

გარდაქმნის ეფექტთან ერთად პროექტის საბოლოო მიზანია ბათუმის მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესება ისეთი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით, როგორცაა ამ შემთხვევაში სანდო მომსახურება სუფთა ავტობუსებით, რასაც თავის მხრივ პირდაპირი გავლენა ექნება უბრალო ადამიანების კეთილდღეობაზე.

კლიენტი:

წინამდებარე პროექტით ევრობანკის კლიენტია ბათუმის მუნიციპალიტეტი, ხოლო პროექტის ბენეფიციარია ბათუმის ავტობუსების შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „აჭარის ავტოტრანსპორტი“.

ევრობანკის დაფინანსება:

ბათუმის მუნიციპალიტეტისადმი გაიცემა სესხი 2.5 მილიონი ევროს ოდენობით. ბათუმის ქალაქის ხელმძღვანელობა შეისყიდის 100 ავტობუსს და ნატურის სახით გადასცემს ამ პარკს ავტობუსების კომპანიას.

პროექტის ჯამური ღირებულება:

3.4 მილიონი ევრო (დაკავშირებული ტექნიკური თანამშრომლობის ჩათვლით).

გარემოსდაცვითი ეფექტი:

პროექტი ანალიზის შემდეგ მიჩნეული იქნა, როგორც კატეგორია „ბ/1“, რაც გულისხმობს შემოთავაზებული ინვესტიციების გარემოსდაცვითი აუდიტისა და ასევე გარემოსდაცვითი ანალიზის ჩატარების აუცილებლობას. ახალი ავტობუსების შესყიდვა ნაკლებად გულისხმობს გარემოსდაცვით საკითხებს. თუმცა, ცოტა და ლოკალიზებული გარემოსდაცვითი საკითხები იჩენენ თავს ავტობუსების არსებული დეპოებისა და სარემონტო საამქროების, ასევე უვარგისი ავტობუსების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. შედეგად საქმე შესაძლოა გვექონდეს ნიადაგისა და ნიადაგქვეშა წყლების დაბინძურებასთან სამანქანო ზეთის დაღვრის შემთხვევაში, სალონში ჰაერის ხარისხსა და გამონაბოლქვი აირის ემისიასთან, ნაგავსაყრელების საკითხებთან, ასევე კომპანიის პერსონალისა და მგზავრების ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან. ძველი ავტობუსების ახლებით ჩანაცვლება გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სანდობას და ეფექტურობას, ასევე შეამცირებს გამონაბოლქვი აირის ემისიასა და ხმაურს. მოსალოდნელია, რომ ახალი ავტობუსები მეორე ევროპულ სტანდარტს მაინც დააკმაყოფილებს. გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა მომზადდება პოტენციური გარემოსდაცვითი რისკებისა მოგვარებისა და პასუხისმგებლობის დარეგულირების მიზნით კომპანიის დეპოების/საამქროების მიმართებით და მდგრადი საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემების განვითარებისთვის.

საზოგადოებრივი ინფორმირებისა და კონსულტაციების სფეროში ევრობანკის მოთხოვნების შესაბამისად კატეგორია „ბ“ მინიჭებული პროექტების შემთხვევაში კლიენტი საჯარო ინფორმაციის საგნად გახდის შემოთავაზებული პროექტის ანოტაციას, სავარაუდოდ აქტუალურად მიჩნეულ გარემოსდაცვითი საკითხებსა და მათზე რეაგირების ზომების ასახვით. ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ფართო საზოგადოებას გასაგებ ენაზე სანამ ევრობანკის მიერ პროექტის საბოლოო განხილვა მოხდება.

ტექნიკური თანამშრომლობა:

პროექტის დამტკიცებამდე:

ტექნიკური თანამშრომლობა №1: კომპანიისადმი დახმარების აღმოჩენა ბიზნეს გეგმის მომზადებაში (35 000 ევრო),

ტექნიკური თანამშრომლობა №2: ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრედიტო ანალიზი (44 500 ევრო),

ტექნიკური თანამშრომლობა №3: გარემოსდაცვითი აუდიტი (სავარაუდო ღირებულება 10 000 ევრო),

ტექნიკური თანამშრომლობა №4: ბათუმის ავტობუსების შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის „აჭარის ავტოტრანსპორტი“ ანგარიშების აუდიტი (24 000 ევრო),

ტექნიკური თანამშრომლობა №5: 100-მდე ავტობუსის მიწოდების ტენდერი (სავარაუდო ღირებულება 30 000 ევრო)

პროექტის დამტკიცების შემდეგ:

საზოგადოებრივი ტრანსპორტის რესტრუქტურისაცია: (ა) საზოგადოებრივი მომსახურების კონტრაქტზე მოლაპარაკებებისა და ხელმოწერის დროს, ასევე მინიავტობუსების სექტორის მარეგულირებელ მექანიზმებზე რეკომენდაციებით მხარდაჭერა (სავარაუდო ღირებულება 100 000 ევრო), (ბ) კომპანიის ხელმძღვანელობის დახმარება შემდეგ სფეროებში: დაგეგმარების, ანგარიშგების, მართვის, ექსპლუატაციისა და შესყიდვების პოტენციალის გაძლიერება

(სავარაუდო ღირებულება 200 000 ევრო კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით)

ტექნიკური თანამშრომლობის ფონდიდან დაფინანსებული საკონსულტაციო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად იხილეთ ევრობანკის ინტერნეტ გვერდზე ინფორმაცია ქვესათაურით “კონსულტანტთა მომსახურების შესყიდვები”.

შესყიდვებისა და ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად იხილეთ ევრობანკის ინტერნეტ გვერდზე ინფორმაცია ქვესათაურით “შესყიდვები”.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

ტელ: : +44 20 7338 6794. ფაქსი: +44 20 7338 7472

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ევრობანკის პროექტებისა და შესყიდვების გარდა სხვა ზოგადი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168. ფაქსი: +44 20 7338 7380

ელ.ფოსტა: projectenquiries@ebrd.com